



მანუაქი უსოათის კაუაში

კელნერი დამპირდა საქართველოდან მიღებულ „ნიანბის“ სპეციალურ ნომერს გაჩვენებ თბილისზე.

აი დედასა, რა დროს ვატარებდი ჩემი თბილისის სამიკიტნოებში.



ეს რა ქალაქია? არა, ეს ჩემი თბილისი არ არის...

ვიცი, ის საბჭოთა საქართველოს დედაქალაქია. თქვენ კი ამ ოცი წლის წინადა ვიფრინეს იქიდან.



№16. 1940.წ
 თბილისი
 გამომცემლობა „კომუნისტი“
 ფასი: 1.20გ.

ეროვნული
 ბიბლიოთეკა

ნიანბი

ОБЯЗАТЕЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

19/11 40
 5
 479



ჩვენი თბილისი—ქალაქი რარისად გამოცვლილა:
ჩუქურთმებით მორთულა, გრანიტში გამოთლილა,
სასახლეებს უყურე, მარმარილოთ ნაშენებს,
მოედნებს და პროსპექტებს ყვავილნარი ამშვენებს,
ზედ ასფალტის ნოხები გაფენილა კრიალა
მერცხლებივით დაჰქრიან მანქანები ცქრიალა,
აღარც კონკა, არც დროშკა, არც კალასკა ძველია,
ტროლეიბუს-ტრამვაებს გზები დაუქსელიათ.
(რა ვუყოთ, რომ მათ მოსვლას ზოგჯერ დიდხან ელიან,
ან თუ მოვლენ და ზოგჯერ შიგ ჩაჯდომა ძნელია,—
ალბად ტრამვაის ტრესტი კიდევ მოუქნელია,—
დღეს-ხვალ გამოსწორდება—ეს ხომ უეჭველია?)
სად წასულა, რა ქნისა იღრო-ჩორრო შუკები?
ყველგან ფართო ქუჩაა გაშლილ, განაშუქები,
ახლა შუქს აღარ იტყვიოთ?—მტკვრისთვის წაურთმევით,
და სახელად ზაჭესი მისთვის დაურქმევით.
შადრევენები, ძეგლები, ბურჯები, თუ სვეტები.
ყველგან თვალს იტაცებენ, კოხტად ნაწერწეტები.
თვით ძველი სატივოც კი წაოკოტადა ქვეულა,
სანაპიროს უხმობენ, შიგ ვარდნარი რხეულა,
ჩვენი დედაქალაქი, რარისად გამოცვლილა:
ძველი ყოფის სიბნელე, მასში სუმთლად მოშლილა.

★
ორთაქალას ვიყავი—ვინახულე ბაღები,
იქ, დიდ კოლმეურნეობის ციმციმებენ ჭაღები
სადღაა სამიციტნო, სადღა არის არღნები,
მტკვრის გაღმა და გამოღმა გუგუზნებენ ქარხნები.
სირაჯხანა, ხარფუხი, თუ შეითანბაზარი,
ჩუღურეთი, კუკია, ავლაბარი მწყაზარი—
თავის სარდაფ-ქოხმახით, ნესტით, კინტოს თაბახით.
ამპაშხანით, ზურნითა, ჩიყი-პიყით, ტრაბახით,
თავის დარდიმანდებით, თავის ლოთიფოთებით.
თარფით, ხაშით, თხლაშოით, გვარომამის შოთებით,—


პუბუზ, ახალ თბილისსა ისე გამოუცვლია,
რომ ყიყვიან კიკილას სულაც ვეღარ უცვნია.
ამ ძველ მეტეხს არ იტყვიოთ? ციხეს ნაგებს შავად,
ქალაქს რომ დასცქეროდ ახლთა სატანჯავად,
ახალ ყოფას, ახალ ხალხს ისიც დაუქცევია,
და იქ სახლი-კულტურის კერად გადუქცევია,—
მაგრამ კულტურის კერა განა მარტო ეს არი?
ვინ მოსთვალოს ახალ მზის შუქი სხივთა მკვესარი,
ადი რალა, მთაწმინდას ადი, წუ გერიდება,
გადმოხედე, რომ ნახო შენ თბილისის დიდება.
კოდნის და ხელოვნების უთვალავი ტაძრები,
კეთილშენი ბაღები, ქუჩები თუ ბაზრები
მტკვარზე უნაგირივით გადადგმული ხიდები,
სასახლეთა თაღები ცაშდ ანაზიდები,
ნაძალადეგ—დიდუბის სახეცვლილი უბნები,
ქარხნის მილთა ბოლისგან ცას გაკრული დრუბლები,
სიმწვანე და სინედლე, ბარაქა და ხეავია...
მაგრამ სიტყვით ვინ მოსთვლის? ნახე, სანახავია,
ნახე ჩვენი თბილისი—რარისად გამოცვლილა,
ბროლოში, მარმარილოში, გრანიტში გამოთლილა.

★
დაპყე შუაქალაქსა, ნახე ქუჩის ჯავარი,
ყველგან ახალ ყაიდის გზებდა ნამუშავარი:
ხალხიც, მისი ცხოვრებაც, მისი მოთხოვნილებაც
ძველს აღარ გაეს, ყველაფერს დასტყობია ცვლილება:
ყველა შრომობს ქვეყნისთვის და ქვეყნისა ზინათიც,
ვინც ოფლსა ღვრის, ვინც შრომობს—ქონება იმათი,
და ეს დიდი ადათი, ვინც სჭედა და აშენა,
მან არა თუ თბილისი,— ქვეყანა დამშვენა
და ჩვენც ქვეყნის ხალხი გულს გვეშლება ვარდებად,
როს ჩვენს დედაქალაქზე სიტყვა ჩამოვარდება,
როცა ვამბობ: თბილისი რარისად გამოცვლილა
ჩუქურთმებით ნაქარგი, გრანიტში გამოთლილა.

ფარსადანი

ნახ. ან. კანდელაკისა

ნიანგი — ახალ სანაპიროზე



ნელად მოღელღავს მოდუდუნე მტკვარი ანკარა
და მის ჩხრიალში ეს სიტყვები ისმის აშკარად:
— შენ კოხტავდები, შენ ირთვები თბილისო, მაგრამ
შენ რომ დღითიღე განზე იწევ, მე რალათ მჩაგრავ?

მე არტახებში ჩამამწყვდიე, შემკარ თაღებით,
ნაპირებს მართმევ და ირთვები შენ კი—ბაღებით...
მაგრამ ალღალი იყოს შენზე თბილისო, რადგან
დღეს ბრმაც კი ხედავს, ოქროს ხანა შენთვის რომ დადგა.

(სამსოროიო ისტორია)

ჩვეულებრივად მკვლევარები თბილისის ისტორიას იწყებენ ვახტანგ მეფის ნადირობისა და ცხელ წყალში ხოხბის დახრჩობის ამბით.

როგორც საყოველთაოდ ცნობილია ხოხბის ამ უადგილო ადგილზე ჩავარდნა და მისი ტრაგიული დაღუპვა გახდა თბილისის დაფუძნების საბაზა. აქედან იწყება თბილისის ისტორია.

არავის მოსვლია აზრად, დაეწყო თბილისის ისტორია აღნიშნული ხოხბის დახრჩობამდე. ამ ხარვეზის ამოკვებას შევედგები მე ამ რამდენიმე წლის წინად, როცა ვაჩვენებდი დამეწერა კაპიტალური შრომა — „ჩემი შეხედულებანი თბილისის წარსულზე და აწმყოზე“, რომლის კონსპექტის გაცნობა გვსურს მკითხველისათვის.

უღრმესი მადლობა უნდა გამოვუცხადო შესავალშივე თბილისის ობსერვატორიას, რომელმაც დიდი სამახური გაგვიწია იმის გამოკვლევაში, თუ რა კლიმატი სუფევდა თბილისში ხოხბის დახრჩობამდე, ე. ი. იმ ეპოქაში, როცა თბილისი ჯერ კიდევ არ იყო დაარსებული. აქვე უნდა დავსძინოთ: სწორედ ამ პრეისტორიული კლიმატის კვლევაში გართვია მიზეზი იმისა, რომ ჩვენს ობსერვატორიას აღარ რჩება შესაძლებლობანი თანამდროვე ამინდის ხუსტად განსაზღვრისათვის. ისე, რომ უსაფუძვლოა ზოგიერთი მოქალაქის საყვედური, თითქოს, ჩვენი ობსერვატორია სუსტად მუშაობდეს.

მადლობის ღირსია აგრეთვე თბილისის დასუფთავების ტრესტი, რომელმაც მოგვაწოდა შესანიშნავი უტყუარი დოკუმენტი იმის შესახებ, რომ ზოგიერთ ქუჩაში და ეზოებში დაგროვილი ნაგავი პრეისტორიული ეპოქისაა. ეს დოკუმენტი აქარწყლებს იმ ვიწრო მეცნიერულ შეხედულებას, თითქოს დანაგვიანებამ თბილისში იმის შემდეგ იჩინა თავი, როცა დასუფთავების ტრესტი დაარსდა.

ჩვენი სალამი და მადლობა აგრეთვე ტრავეი-ტროლიბუსის სამმართველოს იმისათვის, რომ იგი № 7 ვაგონს თვეში ერთხელ მაინც უშვებს ხახუე მარშრუტით „დინამო“—დიდუბე, თბილისის დაარსებამდე კი, როგორც ქვევით დავინახავთ, აღნიშნული ტრამეი სრულებით არ გამოდიოდა ხახუე.

აქვე მადლობით უნდა მოვიხსენიოთ კორექტორები, ღმერთმა უშველოთ, არავითარი მონაწილეობა ამ ჩემი კაპიტალური შრომის გასწორებაში არ მიუღიათ, რასაც თვით მკითხველიც კარგად შეამჩნევს, როცა ვერც ერთ კორექტურულ შეცდომას ვერ აღმოაჩენს.

ამრიგად ვიწყებთ თბილისის ისტორიას—მის დაარსებამდე.

ჩვენი ღრმა მეცნიერული გამოთქმებით, პირველი ცოცხალი არსება იმ ადგილას, სადაც ახლა თბილისია გაშენებული, გაჩნდა ამ სიქსილიონი წლის წინათ.

მაშინ თბილისი დაფარული იყო აბსოლუტური ყინულით. ცხადია, ეს ყინული საესებით გაპოუფებულ რჩებოდა, რადგან იმ დროს, მინერალური წყლების სამ მართველას ცნობით, რაიმე გამაგრილებელი სასმელების ხსენებაც კი არ იყო. ლუდი, ბურაბი და გაზიანი წყალი ხომ წამლადაც არ იზოვებოდა, რასაც ახლაც ხშირად ბაძავს ხოლმე ჩვენი „ლუდისა და ლიმონათის ტრესტი“ ზაფხულობით.

ამ მეცნიერულ ჭეშმარიტებას ჩვენ მივყვართ დასკვნამდე, რომ იმ ეპოქაში თბილისში ადამიანები არ ცხოვრობდნენ, რასაც ადასტურებს იმავე ობსერვატორიის ცნობები თბილისის პრეისტორიული კლიმატის ირგვლივ (იხ. ამავე სტატიის მეორე აბზაცი ზევიდან ქვევით).

პირველი ცხოველი, რომელიც ჩვენი ღრმა დავიროვებით გაჩნდა მაშინდელ თბილისში, არავითარ შემთხვევაში არ ყოფილა არც ვირთაგვა და არც მით უმეტეს ბალლინჯო. ერთი თავმოქმედებულ მეცნიერი ამ ხუთიოდე მილიონი წლის წინათ აბტკიცებდა თითქოს მას აღმოეჩინოს ბალლინჯოს და ხოქოს ჩონჩხი. ამით პატივცემულ მეცნიერს სურს დაამტკიცოს, რომ სასტუმროები და სტუდენტთა ზოგიერთი საერთო საცხოვრებელი, და მით უმეტეს სასადილოები, თითქოს თბილისში არსებობდა ხოხბის დახრჩობამდე.

ეს არის მტკნარი სიცრუე, და რომ ეს ასეა, თქვენ შეგიძლიათ დააწმუნდეთ ამავე სტატიის ამავე აბზაცში მოყვანილი უტყუარი მეცნიერული დოკუმენტებით, რომლებიცაა დამტკიცებულია, რომ ადამიანები ყინულთან ეპოქაში თბილისში არ ცხოვრობდნენ.

ყინულოვანი საუკუნეების შემდეგ ის ადგილი, სადაც თბილისია გაშენებული, შეიძლება მწვანით. უღრან-ტყეებში კაცი ვხს ვერ გააგნებდა. გაჩნდნენ მხეცები რომლებიც გადმოდიოდნენ აფრიკიდან, მესამოტამიდან და ანერიკიდან, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ არ იყო აღმოჩენილი. გარეული ფრინველებისაგან ყურთა სმენა აღარ იყო.

იყო თუ არა იმ დროს თბილისში მტკვარი? აი საკითხი, რომლის ირგვლივ ბევრი ვიტყვით თავი, მრავალი დოკუმენტი აღმოვაჩინეთ და, თუმცა თავი გატეხილი დაგვჩა. მაგრამ საბოლოოდ მივედით იმ დასკვნამდე, რომ მკითხველს არ დაეჭვებოდნენ შემდეგი გარემოება. მტკვარი მაშინ არ ყოფილა იმ კალაპოტში რომელშიც ახლა მომდინარეობს.

პოეტრი ნ. ბარათაშვილი ამბობს: „... ვინ იცის მტკვარო რას ბუტბუტებს ვისთვის რას იტყვი“-ო.

მხოლოდ ახლა შეიქნა შესაძლებელი იმის გამოცნობა, თუ ვისთვის რას იტყვის მტკვარი. პირველყოფლისა იგი რაღაცას ბუტბუტებს ჩვენს, ბოლშევიკების წინააღმდეგ. კაცმა რომ თქვას საბუტბუტოც ბევრი აქვს მტკვარს. მაინც ამ დალოცვილმა ბოლშევიკებმა ჯერ იყო და ზაჰესი ჩაუყენეს და ზურგზე სულ ბოლი აღინეს, შემდეგ ჩელუსკინელების ხიდის შენების დროს პირდაპირ ფეჭვეს გასთელეს, ბოლოს ამოუშენეს სანაპირო და საშუალება აღარ მისცეს ერთი ზეირთი მაინც გადმოისროლოს ნაპირზე... ერთი სიტყვით უტყვიანო და შეჯდნენ ზურგზე.

— ეს რაღა გამოვიდა მოქალაქენო,—ბუტბუტებს დღეს მტკვარი.—როდის იყო თბილისელები ამ დღეს მაყენებდნენ წინაღო და სხვა და სხვა.

მაგრამ მის ბუტბუტს ახლა მთავი მღუმარიც ყურს აღარ უგდებს.

დამატებით გამოვარკვევთ შემდეგი:

—მოვდივართ მოგვიხარია, მოგვყავს დედალი ხოხობი!“—ო

ამბობს ხალხური ანდაზა. ვეკითხებით მეცნიერებს. —თუ კი ცხელ წყალში მოხარაზა თქვენი პატრიცე-მული ხოხობი, როგორღა მოჰყავთ, ან რად მოუხარიათ? ამრიგად, როცა უკვე მეცნიერულადაა დასაბუთებული, რომ მტკვარი და მისი ხოხობი იყო და არა ოფოფი?! მეცნიერები ამ შემთხვევაშიც აკივლდებიან. იტყვიან „ცხადია ხოხობი იყო, რა უფიცობააო“. და სხვა-დასხვა და ასე შემდეგ. მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენსას ვიტყვი.

გვეკითხება: —იყვნენ თუ არა თბილისში პრეისტორიულ ხანაში ხულიგნები და სპეკულანტები? ვუბასუხებთ: —იყვნენ.

—აკი სწვრთ — მაშინ ადამიანები თბილისში არ ცხოვრობდნენო?! — მაგრამ იმასაც ხომ გწვრთ, რომ მხეცები მაშინ ბევრი იყო.

აქ ვამთავრებთ ჩვენი კაპიტალური შრომის პირველ ნაწილს. ეჭვი არ არის, ამ საკითხში ბევრი რამ გამოგვჩა და ბევრი შემდეგშიც გამოგვჩა, მაგრამ ამაში მნიშვნელობა მაინც არა აქვს ისტორიის შემდგომ მიხვედ-მოხვედლობაში.

ამრიგად, ჩვენ ზოგადი კონტურების გაკრულობით დავინახეთ თბილისის ისტორია ხოხბის, ანუ, უფრო სწორად ვსთქვათ, ოფოფის დახრჩობამდე.

უფრო მდიდარი ისტორია იწყება თბილისის ახლად დაბადებიდან, ესე იგი 1921 წლის თებერვლიდან რის შესახებაც დაბარაკი გვექნება შემდგომ დიდ ნაშრომში სათაურით: „თბილისი საქართველოს ნამდვილი აღორძინების ფონზე“.

ბოლოდ ახლა შეიქნა შესაძლებელი იმის გამოცნობა, თუ ვისთვის რას იტყვის მტკვარი. პირველყოფლისა იგი რაღაცას ბუტბუტებს ჩვენს, ბოლშევიკების წინააღმდეგ. კაცმა რომ თქვას საბუტბუტოც ბევრი აქვს მტკვარს. მაინც ამ დალოცვილმა ბოლშევიკებმა ჯერ იყო და ზაჰესი ჩაუყენეს და ზურგზე სულ ბოლი აღინეს, შემდეგ ჩელუსკინელების ხიდის შენების დროს პირდაპირ ფეჭვეს გასთელეს, ბოლოს ამოუშენეს სანაპირო და საშუალება აღარ მისცეს ერთი ზეირთი მაინც გადმოისროლოს ნაპირზე... ერთი სიტყვით უტყვიანო და შეჯდნენ ზურგზე.

— ეს რაღა გამოვიდა მოქალაქენო,—ბუტბუტებს დღეს მტკვარი.—როდის იყო თბილისელები ამ დღეს მაყენებდნენ წინაღო და სხვა და სხვა.

მაგრამ მის ბუტბუტს ახლა მთავი მღუმარიც ყურს აღარ უგდებს.

დამატებით გამოვარკვევთ შემდეგი:

—მოვდივართ მოგვიხარია, მოგვყავს დედალი ხოხობი!“—ო

ამბობს ხალხური ანდაზა. ვეკითხებით მეცნიერებს. —თუ კი ცხელ წყალში მოხარაზა თქვენი პატრიცე-მული ხოხობი, როგორღა მოჰყავთ, ან რად მოუხარიათ? ამრიგად, როცა უკვე მეცნიერულადაა დასაბუთებული, რომ მტკვარი და მისი ხოხობი იყო და არა ოფოფი?! მეცნიერები ამ შემთხვევაშიც აკივლდებიან. იტყვიან „ცხადია ხოხობი იყო, რა უფიცობააო“. და სხვა-დასხვა და ასე შემდეგ. მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენსას ვიტყვი.

გვეკითხება: —იყვნენ თუ არა თბილისში პრეისტორიულ ხანაში ხულიგნები და სპეკულანტები? ვუბასუხებთ: —იყვნენ.

—აკი სწვრთ — მაშინ ადამიანები თბილისში არ ცხოვრობდნენო?! — მაგრამ იმასაც ხომ გწვრთ, რომ მხეცები მაშინ ბევრი იყო.



— „თბ. ოპერის თეატრის სეზონი დაიწყო კომპოზიტორ ანდრიაშვილის ახალი ოპერა „კაცო ყაჩაღი“
 — „თბ. ოპერის თეატრი მორიგ პრემიერად უჩვენებს კომპოზიტორ ია ტუსკიას ახალ ოპერას „სამობლუსი“
 — „კომპოზიტორი გა კილაძე ამთავრებს ახალ ოპერას — „ღაღო კეცხველი“, რომელიც დაიდგება მიმდინარე სეზონში“.

სამობლუსი
 (გაზეთების)



აპ. ანდრიაშვილი: — მომყევით, თქვენი ჯერია დაიწყეთ სიმთა უღერანი.
 ი. ტუსკია: — მოგყევები, გზას მიკაფავენ ახლ ჰანგების მღერანი.
 ბ. კილაძე: — მოვალ, თუმცა გზაშიც მომიწევს პარტიტურების წერანი...

სეზონის გვიკაბი

ნახ. დონისა


— „რუსთაველის სახ. თეატრმა წარმატებით დაიწყო სეზონი „გიორგი სააკაძის“ დადგმით“.
 — „მარჯანიშვილის სახ. თეატრმა წარმატებით დასდგა ახალი პრემიერა „მეჯღანუაშვილი“.
 — „რუსთაველის სახ. თეატრი წარმატებით ემზადება დრამა „ღალატის“ დასადგმელად“.



ბ. საბაძე: — რას ბრძანებთ, ამ ხმლით სპარსეთი და ყანდაარი ავიღე და სათეატრო სეზონს ვერ ავიღებ?
 სოლ. მეჯღანუაშვილი: — ჩემს დროში, დარბაისელნო, სეზონს ვიღებდი ფულით, ეხლა კი — სეზონს იმის ჩვენებით ავიღებ, თუ როგორ ვიღებდი სეზონს ფულით.
 სოლემიან-ხანი: — მე კი, ამ სეზონს „ღალატით“ ავიღებ, თუ დამდგმელებმა არ მილალატეს,



ზორბაბელი აჩორი



(მიბაძვა)

კრავლე მეფის დროინდელი თბილისელი სოციალური ქაინოსრო ზორბაბელი ძველ სასაფლაოს აკლამაში დაშვებულად განისვენებდა მაგრამ ოქტომბრის რევოლუციის სადღესასწაულოდ გამოსულმა ხალხის მუსიკის მძლვე გუგუნმა მისი სული აკლამაში დააფრთხო და საიქიოდან ისევ სააქაოში დაბრუნდა. დროებით ზორბაბელს არსებობა იქცა და თბილისის უბნების დათვალიერებას შეუდგა. უპირველეს ყოვლისა, რამ სწორად თრეგეტაცია მივლო, მეტეხის მუხეუმს შოაილო თვალის. მეტეხის ახლოს მისი ყურადღება ბალნეოლოგიური კურორტის სასახლეებმა მიიქცია.

— იუ! იუ! რა დიდებული ნაგებობაა, რა აბაზანებია! რა შემოსავლიანი საქმეა. ვაკეთდება მისი პატრონი. — შურით გაივლო მან კულში და ცნობისმოყვარეობით აღსაყვებელი მდგომ მოქალაქეს შეეკითხა:

— ჰინ არის ამ შენობის პატრონი?

— კომუნალურია. — იყო პასუხი.

— ბიჭოს! ეს კომუნალური რაღაც ნაცნობ გვარს მაგონებს. მეონი ხევესური უნდა იყოს... სტეფანწმინდაში გამიგონია ასეთი გვარი, მაგრამ თბილისში როდის გადმოსახლდა? — გაიფიქრა მან.

წუთის შემდეგ ზორბაბელის სული კომკავშირის ხეივანზე გაჩნდა. ძლიერ იცნო შურისცხის ძველი ნანგრევები. ხეივის სილამაზემ წარსულის ძეგლებზე მეტად მიიქცია მისი ყურადღება და ერთერთ მოქალაქეს შეეკითხა.

— მარჯვით, ვინ გაიყვანა ამ უდაბურ კლდეზე ეს კრიალა გზა, ვინ არის ამ წარმტაცი წალკატის მფლობელი?

— კომუნალურია. — იყო პასუხი.

კომკავშირის ხეივიდან პირდაპირ ბერიას მოედანზე დაეშვა. მისი ყურადღება მოედნის გარშემო ამართულმა შენობებმა მიიქცია.

— ნეტავი ვისი უნდა იყოს ეს წარმტაცი შენობა — რა ძვირი დაჯდება მათი აგება. არც ბაღდადში არც თაფრიზში და არც სამარყანდში ამის მსგავსი არაფერი მინახავს. ნეტავ ვინ არის მისი მფლობელი?

— კომუნალურია. — იყო პასუხი.

ბუშკინის ქუჩაზე ბანკის შენობას მიაცქერდა.

— ვინ არის ამის მფლობელი?

— კომუნალურია. — იყო კვლავ პასუხი.

— ეს კომუნალური დიდი სახელოვანი კაცი ყოფილა სად მოიპოვა ამდენი სიმდიდრე... გაიფიქრა ზორბაბელმა. მაგრამ მისი ფიქრი მოახლოებული ტრამვაის მოტორის გუგუნმა დააფრთხო. იგი განციფრებაში მოიყვანა „ორმა მოძრავემა სახლმა“. რომელშიც არც აქლემი ება და არც კამეჩები. ტრამვაის ერთ შემადგენლობას ჩვეულებისამებრ მერე და მესამე მოჰყვა ზორბაბელი მიხვდა, რომ მისი დანიშნულება მგზავრობის გათვალისწინებული იყო.

იუ! რა სიმდიდრეა! რამდენი ხალხი მიჰყავს. განათლდა მისი სული ვინც მაგ მოიგონა... ნეტავი ვისია... ვინ არის მაგის მფლობელი?

— კომუნალურია. — იყო კვლავ პასუხი. ზორბაბელში შურის გრძობამ გაიღვიძა. მან მოედანზე ჩამწკრივებული ავტობუსები დაინახა, რომლებიც რამდენიმე წუთში მგზავრებით გაიჭედნენ, და რუსთაველის პროსპექტზე გაიქროლეს, მათმა სისწრაფემ და გარეგნობამ კიდევ უფრო მოხიბლა ზორბაბელი, მაგრამ სანამ ახალი რამის გაფიქრებას მოასწრებდა, კვლავ ახალი მანქანები მოგუგუნდნენ და ტროლეიბუსის ვაგონიც მოსრიდა. ზორბაბელი კვლავ განციფრებამ მოიცვა. მაგრამ მაინც იკითხა:

— ვინ არის ამ მანქანების პატრონი? — და ხელი ავტობუსისკენ გაიშვირა.

— კომუნალურია. — იყო პასუხი.

ამის? — ნიაშირია ხელი ტროლეიბუსის.

— კომუნალურია. — იყო კვლავ პასუხი.

— ნეტავ გამაცნო, ვინ არის ეს კომუნალური... — გაივლო გულში ზორბაბელმა და სიფრთხილითა და

მოკოდებით შევიდა ტროლეიბუსში. საოცრებად ჩასთვალა მან ამ „დაობაის“ ასულტზე გასრიალება გმირთა მოედანზე გასდლო, მაგრამ შემდეგ შეშინებულიმა წამოიძახა:

— მოიცათ ვეფო, გაჩაჩრეთ, გული შეწურება.

ზორბაბელი ჩამოვიდა და სული მოითქვა და-თორმეტსართულიან სანდს რომ ახედა, კინაღამ ქუდი გადმოუვარდა.

— ეს საოცარი სახლი ვილასია ნეტავი? — აღმოხდა მას ახალი კითხვა

— კომუნალურია. — მოესმა პასუხად.

ჰოი საკვირველებზე, ის ახალი ტაძარი ვინდა ააგო?

— ნიაშირია ხელი ცირკის ახალ შენობაზე,

— კომუ... —

— ვიცი, ვიცი, — შეაწყვეტინა ზორბაბელმა, — ეს კომუნალური პირდაპირ საკვირველმოქმედი ყოფილა რაკი ასე აუყვავებია ქალაქი. ამის შემდეგ მტკვრისკენ ჩაუხვია და ახალ სანაპიროზე გავიდა.

— და უცხოდ ნაგებნი ხიდნი, ჯებირნი და წალკატ-ნი ვინა არის პატრონი თქვენი? — მიმართა მან გაცვიფრებით.

— კომუნალურია. — იყო პასუხი.

ზორბაბელმა ძველი მთაწმინდის კალთებს მიაშურა. მის თვალწინ გადაიშალა უხარმაზარი ფაბრიკები, ქარხნები, ვაკის, დიდუბის, ღრმაღელის, ნავთლუდის. ქალაქის ცენტრალური უბნების უხარმაზარი ნაგებობანი.

— ამათ კი სხვა პატრონი ყოფილა. — გაივლო გულში ზორბაბელმა და კვლავ იკითხა.

— ვინ არის ამ სიმდიდრეთა მფლობელი?

— კომუნალურია. — იყო კვლავ პასუხი.

ადრინდელი შურის გონობა ზორბაბელში აღტაცებამ შესცვალა.

— ყოჩაღ, ყოჩაღ კომუნალური! შენით აწმენებულა მთელი ქვეყანა. — გაიფიქრა კვლავ მან და ფუნქციონირის ხედა სადგურზე გაჩნდა. ხედა სადგურის სასახლემ და სტალინის სახელობის წალკატმა კიდევ უფრო გახარდა ზორბაბელის აღტაცება. მის შეკითხვაზე, თუ ვინ იყო ამ სიმდიდრის პატრონი, პასუხად კვლავ კომუნალურის სახელი მოესმა. თითქოს განგებ შეთქმულანო, ყოველ კითხვაზე ყველას პირზე კომუნალურის სახელი ვეჭრა.

ზორბაბელი ფუნქციონირის ბალის კალთაზე აგებულ კარუსელთან მივიდა. კარუსელში მხიარული ბავშვები ჩამსხდარიყვნენ. მათ მოზრდილებიც უსხდნენ და ბორბალის აბრუნებას, ბავშვებთან ერთად, ბავშვურის გატაცებით ელოდნენ. კარუსელზე დაკიდულ პატარა თვითმფრინავში კომკავშირული ქალი იჯდა. რომელსაც მუხლზე 3-4 წლის ბიჭუნა დაესვა. ჰაერობლანი ირხეთდა და რიტმიულ მოძრაობით დამტკბარი პატარა ბიჭიკო შეუჩერებლად ხითაითებდა.

— ვინ არის ეს ბავშვი, ასე რომ მხიარულობს? — კითხვა კომკავშირულ ქალს ზორბაბელმა.


— პატარა მოქალაქე! ეს არის ვინც არის! მემკვიდრეა ამ ქვეყნის, ამ სიმდიდრის, ჩვენს წინ რომ გაშლილა.

— კომუნალურის ვაჟი ყოფილა... გაიფიქრა ზორბაბელმა. — ნეტავი მაგას მართლაც მაგისი ყოფილა ქვეყანა. ნეტავი მაგას, მართლაც სასიხარულოთა აქვს საქმე... ამ სიტყვებზე ზორბაბელის ხორცსხმული სული კვლავ უხილავ იქნა და თავის ძველ აკლამასთან სავანეს დაუბრუნდა.

კოდერიგო

კინოსვულნილი

ნახ. გ. იხავიას



ეს შარყი ხუმრობით დახატა ჩვენმა მხატვარმა ისაევმა.

— ეს სადაური წნილიაო, — გაიკვირვა ერთერთმა მკითხველმა, — არც კომბოსტოს გავს, არც ბადრიჯანს, არც კიტრსა გავს, სადაური წნილიაო?

— მაშ რას გავს პავიციემულო მკითხველო? — შევეკითხეთ ჩვენ.

— ეს კინოფილმსა ჰგავსო. — გვიპასუხა მან.

სრული სიმართლეა. დიდაც კინოფილმსა გავს, მაგრამ რადგანაც კინოფილმად არ გამოდგა, წნილად ჩაიღო. ასეთ წნილს დროგამოშვებით ამზადებს თბილისის კინოფაბრიკა, რომელიც გაგვახარებს ხოლმე კარგი ფილმების გამოშვებითაც.

იდი ხანია, იპოლიტე თბილისში ცხოვრობს. მას უკვე ჩამოსვლის პირველსავე თვეს დაეტყო დედაქალაქის მკვიდრი მცხოვრების კვალი: სულ „რადას“, „ოლონდაცს“ და „ხოლმეს“ ვაძახობდა.

— ნახე? ჩვენი იპოლიტე სულ მიხვედ-მოხვედობითა ლაპარაკობს!

— გაიგე? მე პითხრა: შემოიარე ხოლმე ჩემთან ქალაქშიო.

— გალუსტიკოც ვაუკეთებია!...

— თავზე პანამა ახურავს...

— მე რუტულად მომმართა და მერე დააყოლა: ნდაა! ტეკ-ტეკ-ტე-ე-კო!

— ძან ნასწავლი გამოსულა!

ბევრი იყო ასეთი მითქმა-მოთქმა.

შემდგომი წლები მოვიდნენ და წაუვიდნენ, იპოლიტე დამკვიდრდა ქალაქში. იგი ხანგამომშვებით ჩამოდიოდა ჩვენთან, სოფელში და უდონჯესი ტონით გვიამბობდა ქალაქის ამბებს. ამას წინათაც გვესტუმრა.

— დიდი ამბებია ზოთპარკში, — დაიწყო იპოლიტემ, — ჩამოიყვანეს იმხელა სპილო, რომ სამი კამეჩი არ ჰყოფნის დღეში!

— კი მაგრამ, სპილო კამეჩს ჭამს? — ეჭვით შევეკითხე.

— თუ აქმევ, რატომ არ ჭამს? გიყია კამეჩის სუკზე უარი სთქვას?

— ახალი დადგმების შესახებ რას იტყვი, იპოლიტე?

— ახალი დადგმები? როგორ გითხრა: ზოგი კარგია, ზოგი გკარიანი...

გიორგი სააკაძე?

— გიორგიც კარგია... აი მაგალითად, სცენა კოლმეურნეობაში.

— სააკაძის დროს კოლმეურნეობა სად იყო, შე კაცო?

— მაშინ მართალია, არ იყო. მაგრამ ახლა ხომ არის... და ამიტომ შეიტანეს... — ცოტა არევიტ სთქვა იპოლიტემ.

— ფოლადაური როგორ მოგეწონა, იპოლიტე?

— ფოლადაური? ისტორიული ტრადიციის პირობაზე კარგია, ოღონდ თარგმანი არ მომწონს.

— თარგმანი? ეს ხომ სანდრო შანშიაშვილისაა! მან უცხო ენაზე დაიწყო დრამების წერა?

— დიას... ესე იგი, მაგან ხომ გერმანული იცის და როგორც მითხრეს გერმანულად დაუწერია...

— ამას ვარდა, ფოლადაური თანამედროვე საკოლმეურნეო თემაზეა ჩემის აზრით.

იპოლიტე არ დაიბნა.

— ის სხვა ვარიანტია. მე რომ გეტყვები, ის ისტორიულია, ისევე, როგორც ადამ საეენი.

ეტყობა. იპოლიტე მაღამ სან-ჟენს ჰტულისხმობდა.

— სხვა, რას იტყვი კაკო ყაჩაღზე?

— კარგი ოპერაა, — რეცენზენტის კილოთი წარმოსთქვა იპოლიტემ, — ოღონდ ესაა, რომ შიგადაშიგ მიზანსცენები ვერაა გამართლებული.

— მაგალითად?

— მაგალითად, სცენა ლიბრეტოში... როდესაც ბატონი კაკოს მამას ეჩხუბება.

— თუ ზაქროს მამას?

— ჰო, ზაქროს მამას. საჭიროა ჩხუბის დროს მეტი რიტმიულობა და პლასტიკური მონაცემები... ამას ვარდა, მუსიკა უშლის ხელს, ორკესტრი რომ ცოტა შორს იყოს, ან მაღლა, ქანდარაზე იჯდეს, როგორც ცირკშია, უკეთესი იქნებოდა... საერთოდ კი არა-ყიშვილის ეს ოპერა მის წინანდელ ოპერებზე ნაკლებია არაა.

ჩემთვის საკვებით ცხადი გახდა იპოლიტეს თბილისელობა თეატრალურ დარგში.

შეორე დღეს ქალაქის შესანიშნავ ადგილებსა და დაწესებულებებზე გვქონდა ლაპარაკი.

— ფოლიალი? დიდებული შენობაა! — წამოიძახა იპოლიტემ.

— როგორ მოგეწონათ გამოფენები?



— გავიგე თბილისზე „ნიანგას“ ხეციალური ნომერი გამოდისო და ამიტომ გამოვეზავნე ჩემი ხურათა. ჰაი დედახა, მთელი თბილისის კონკა ერთ დროს ჩემი სათრევი იყო და ერთი ავარიაც არ მქონია, ხანდახან ბნელ ქუჩაში მთვრალი გოროდვით თუ დამეჯახებოდა, თუ მაძლარი ვიყავი, არ წაგვცეულვარ.

ეხლა კი — იმ ტრამვაიმ თავისი ქნა: არც ქერი სჭირია, არც თივა, არც მათრახი. თუ ღმერთმა ინება და თავის დროზე მოვიდა, ჩაგეკი და წადი რამდენიც გინდა. მაგრამ თუ გეჩქარება და დროს ზოგავ, მაშინ ფეხით გაუდეკი გზას.

— გამოფენები? მართალი გითხრა, არ მინახავს (სადა მაქვს დრო!) მაგრამ ტრამვის ვაგონში გავფოგონე, კარგიაო...

— ფუნქციონირი? ავლაბარი? ძველი ნაძალადევი? ახლად გაფართოვებული მოედნები, კალიაევის აღმართი, კომინტერნის ქუჩა, კომკავშირის მთა, განახლებული თბილისის ახალი უბნები, პროსპექტები, ძეგლები, ქარხნები, ფაბრიკები?

— ოო! ეს ხომ იშვიათი რამეებია! — წამოიძახა იპოლიტემ, — ჩვენ ხშირად დავდივართ ამ ადგილებში ერთხელ ფუნქციონირიდან განახლებულ თბილისს რომ გადმოვხედო, მუშა მომივიდა და ლექსი დავწერე ექსპროზოდ. ავლაბარში ხშირად დავდივარ სასეირნოთ, დიდუბეშიაც, ოღონდ იქ ამ ფაბრიკების გუგუნი ცოტათი უშლის კაცს დროს ტარებას.

რალაი ასეთ რეკლამებზე გადავიდა, ჩვენ ვეღარ გავაჩერეთ იპოლიტე. იგი მთელ საათს ლაპარაკობდა აყვავებული თბილისის ახალ ადგილებზე და ამ ადგილებში მიღებულ სიამოვნებაზე.

ბოლოს, ისევ სანახაობებისაკენ იბრუნა პირი:

— ხალხო, რა ვნახე, რა ვნახე თბილისში! — გაიძახოდა ის.

— რა იყო ასეთი?

— ბიჭო, ღორი კბეზე აღის! ზღვის ღორები ბურთს თამაშობენ, თავები ყირაზე გადადიან... რას არ გამოიგონებს ეს ცირკის ხალხი! ჩემი თვალით ვნახე კატა თავისი ფეხით შევიდა ორთქლ-მავალში და თავები წაიყვანა.

— ე—ჰეი. შვილო! — თხვრით შეაწყვეტინა მოხუცმა ბიძამ, — კატამ ორთქლმავლის წაყვანა მოახერხა, შენ კი საკუთარი თავი ვერ წაიყვანე თეატრში და მუხუცში.

იმ დღის შემდეგ იპოლიტე რამდენიმეჯერ ვნახე თეატრში, როცა სოფლიდან თბილისში ჩამოვიდიოდი.

ალლარ-ალლარსან.



3 აშლატამტრესტის“ დირექტორის მოადგილემ კიკილო კუდიანიძემ, ავითაკე წასვლის წინ, თავის ჩინებულად მორთულ ბინაში დატოვა ნათესავი სტუდენტი კურკა ლაზარაშვილი.

— აბა, ჩემო კურკა, გაბარებ ჩემს ოჯახს და შენ იცი და შენმა ბიჭობამ, თუ არ დამალატებ. იცოდეთ ღამიანობით არ მიმოტოვო ბინა.

— ფიქრი ნუ გაქვს კიკილო გლახუნის! დაიმედა კურკამ.

ბინაში მარტო დარჩენილი კურკა პირველად ბინანოს მიუჯდა, და დაუკრა „ორი ქოთანი ვიყიდე“. მერე პატეფონი მოაწყო, დაუკრა „ტრიფონ ბერი“ და აივანში გაისმა „ნოვოსელიეზე“ წინასწარ მოპატივებული კოლეგების ფეხის ხმა.

— ყოჩაღ კურკა!—ერთხმად შესძახეს გაოცებულმა ამხანაგებმა.

— აი, ბინაც ამას ჰქვიან! მართალი გითხრა კი არა მჯერა, რომ კურკასია, მაგრამ ფაქტს სად გაექცევო. ნეტავი მეც მყავდეს ამისთანა ბიძა! გლიცინია, შენი საქმე გაკეთდა, ახლაც აღარ მისცემ ცოლად წაყოლის პირობას ჩვენს კურკას?—გაეხუმრა ზურაბი.

— ეხლა მე და ლამარაც არ ვიტყვით უარს.—სიცილით სთქვა ვენერა.

— ბოშო, ვინ სულელი იქნება ამისთანა ბინაში ცხოვრებაზე უარი სთქვას.—დაუმატა ლამარამ.

— ჰო და არც მე ვამბობ უარს, ჩემს კურკას ვერავინ წამართმევს, ტყუილად ნუ ილაღავთ ენას!—თქვა გლიცინიამ და გადაიკისკისა.

— გლიცინია, მოდი ერთი დაუკარი ეს ბინანო, ვნახოთ მართლა ბინანოა თუ მოჩვენება.—მიმართა ზურაბმა.

გლიცინიამ დაუკრა და ამხანაგები ერთხმად აპყვნენ სიძღვრით:

ვატატაია-ტაია, ტაია,
ვატატაია-ტაია-ტაია...

— ბიჭოს! ნამდვილი ბინანო ყოფილა!—სიცილით დაამოწმა კუკური.

— მაშ რა გეგონათ!—წამოიძახა მასპინძელმა.—ახლა პატეფონი გავსინჯოთ, თქვენ შეიძლება ესეც მოჩვენებათ მიგაჩნიათ.

კურკამ მოაწყო პატეფონი და დაუკრა ფოქსტროტი. ყველანი დაწყვილდნენ და გაქაღდა ცეკვა.—კუკურიმ წინადადება შემოიტანა.

— მოდი ახლა თბილისი ავაწრიალოთ!

— ავაწრიალოთ, ავაწრიალოთ!—დაეთანხმა გლიცინია.

— ეს აწრიალება რაღაა?—იკითხა ლამარამ.

— ეს არის ტელეფონით ლაპარაკი უცნობებთან: ზოგს შევაშინებთ, ზოგს ისე გავებუმრებთ, ძალიან საინტერესოა; დაეწყით.—სთქვა მასპინძელმა და გადაშალა ტელეფონის სააპონენტო წიგნი.

— პირველად მე.—წამოიძახა გლიცინიამ.
— მომიხანეთ მერაბ სიამიშვილის ნომერი. უნდა გავუჩინო ხანძარი ოჯახში.

გლიცინია იღებს ტელეფონის მილს და შემდეგი საუბარი იმართება სიამიშვილის ცოლსა და მას შორის:

— მერაბ სიამიშვილის ბინაა? მერაბს სთხოვეთ.

— არ გახლავთ შინ. რა გნებავდათ?

— თქვენ მისი შინამოსამსახურე ხართ?

— არა, მე მისი მეუღლე ვარ. რა გნებავდათ?

— როგორ თუ მეუღლე? მერაბმა მე მითხრა უცოლო ვარო. მჭმ მატყუილებს. კარგი, ვნახოთ!..

გლიცინია ჰკიდებს ტელეფონის მილს და კისკისებს:

— ჩავადე „ჩორთი“ სიამიშვილის ოჯახში. ყველანი იცინიან.

— ახლა მე, ახლა მე.—იძახის ვენერა,—ლეგან მალლარძის „დუშკა“, მეტიჩარა ქსენია უნდა ავატირო. იღებს მილს:

— ბახურიძის ბინაა? ქსენიას სთხოვეთ.

— მე ვარ ქსენია, რა გნებავთ?

— ყოფილი არამიანცის საავადმყოფოდან გეძახით... ჩვენთან ორი საათის წინ მოიყვანეს ლეგან მალლარძე.

— რაი მე!.. რა მოუვიდა?

— ავტომანქანა დასაჯახებია და სერიოზულად არის დაზარებული... მე ექთანი ვარ, მთხოვა თქვენთვის დამეძახა... იჩქარეთ...!

— ვენერა ჰკიდებს მილს.

— ახლა მე!—ამბობს კუკური და იღებს მილს.

— მწერალი №-ის ბინაა? როგორაა თქვენი მუშა?

— ვინ ბრძანდებით?

— სწერთ არა?

— დიახ, ვმუშაობ, მაგრამ ვინა ხართ?

— სწერთ, სწერთ! მართალია ხეირიანი არაფერი გამოვა თქვენი გოგრიდან, მაგრამ ჰონორარს ხომ კარგს გაძლევენ და რა გენაღვლებ...!

— რა სისულელეა! მართლა ყველაფერის გამასხარება ხომ არ შეიძლება. №-ი მშვენიერი პოეტია.—წარმოსთქვა ზურაბმა წყენით.

— შე კაი კაცო, მეც ქე მომწონს მისი ლექსები მარა, ვხუმრობთ, აბა, როგორ გავატაროთ დრო, რით გავიცინოთ?...

— იქ ვინ ცხოვრობს?—შეეკობა კუკური კურკას და გაიშვირა ხელი ქუჩის მეორე მხარეზე მოპირდაპირე სახლისაკენ, სადაც ფართე აივანზე მოსჩანდა გამლილი სუფრა, რომელსაც ირგვლივ ორი მამაკაცი და სამი ქალი უსხდნენ. მსხვილ კაცს ხელში ღვინით სავსე ჭიქა ეჭირა და ეტყობოდა ვიღაცასააღლეგრძელოს სევამა.

— იქ რომელიღაც საშუალო სკოლის დირექტორი ცხოვრობს, გიორგი კოკობიძე და ის მსხვილი; „რეჩს“ რო ამბობს, ჩვენი პროფესორია ნიკო სარმანიშვილი, ვერ იცნობ?

— რას არ ვიცნობდი! მაგან არ ჩემკან არაფერი პროტექცია მაგასთან არ სჭირს.

— რას ამბობ კუკური, მაგისთანა კაი კაცი მეორე არ არის ამ თბილისში, მარა თუ არაფერი იცოდო, ახლა ტყუილად ხომ არ დაგიწერდა კარგ ნიშანს?—ჩაერია ლამარა.

— სიმონ სარმანიშვილი სწორედ „დუშკა“, მერე ისეთი „ოსობნიაკი“ აიშენა ვაკეში, პირდაპირ სამოთხეა. თავის ბებერ ცოლს გაუშვებდეს დღესვე გაყვებოდი ცოლად, უღალატებდი ჩემს კურკას.

— ჰო და იმ შენს „დუშკას“ ახლა მე უნდა მივეალერსო.

კუკურიმ მონახა ტელეფონის ნომერი და დარეკა. აქედან ხედავდნენ მხიარული ახალგაზრდები, რომ ადგა დიასახლისის და მივიდა ტელეფონთან:

— კოკობიძის ბინაა? თქვენთან არის პროფესორი ნიკო სარმანიშვილი? სთხოვეთ საჩქაროდ... სარმანიშვილი ბრძანდებით! ბატონო პროფესორო, თქვენს სახლს ხანძარი გაუჩნდა.. მე თქვენი მეზობელი ვარ.. სახანძრო რაზმს გამოუძახეთ... ჯერ არ მოსულა.

— ხა-ხა. ხა... იცინის კუკური. ახალგაზრდები ხედავენ, როგორ აიშალა სუფრა მოპირდაპირე სახლში, როგორ გარბის შემოფოთებული პროფესორი.

ზურაბი ისევე პროტესტს აცხადებს, ზოგიერთები მხარს უჭერენ პროტესტს, მაგრამ საერთოდ ყველანი იცინიან.

ყმაწვილებმა, ეს მათი აზრით ოხუნჯობა, განაგრძეს ღამის ორ საათამდე, უკანასკნელად სამილიციო უბანს გამოუძახეს. ეს აზრი ისევე კუკურის მოუვიდა თავში:

მითვლემილი მილიციის უფროსის თანაშემწე გამოაღვიდა ტელეფონის ზარმა:

— სამილიციო უბანია?... გთხოვთ სასწრაფოდ გამოგზავნოთ მილიციელები. ჩვენს სახლში საშინელი ამბავი ტრიალდეს. აშკარა ხულოვნურ გამოსვლებს აქვს ადგილი. საჭირო იქნება ექვსი კაცი.

სადა მყავს ახლა ექვსი კაცი, ფიქრობს თავისთვის შემოფოთებული თანაშემწე და უპასუხებს:

— მაინც რა მოხდა ამხანაგო, რა საჭიროა ამდენი კაცი?

— როგორ, თქვენ ხულოვნობასთან, საბრძოლველად ექვს მილიციელს აღარ იმეტებთ?

— მაინც რა მოხდა, შეიარაღებული თავდასხმა ხომ არაა?

— უარესია! ბაბუაჩემს წაეჩხუბა ბებიჩემი და საშინელი უწყსო სიტყვებით ლანძღვენ ერთმანეთს.

მილიციის უფროსის თანაშემწე იცინის და მზად არის გადაჰკოცნოს უცნობი ოხუნჯი. მას სიხარულისაგან სრულიად ავიწყდება რომ ხულოვნობასთან ბრძოლა ასეთ ოხუნჯებთან ბრძოლასაც გულისხმობს, რის საშუალება ჩვენს მილიციას უქველად მოეპოვება.

თბილისი გ. სათში

ლიპტი ბიასი.

ზაგაპის პაგონი



ჯაგანი იყარა

რატომ უკლებს განსაკუთრებულ მასაჟს ამ მეტეს ამ მოქალაქეს?
—მასაჟს ეს არ უკლებს, გულით სცემს, მაგ მოქალაქემ ქიხის მიღვით იყვანა და „ნა-ჩაბა“ არ დაიბრებია.

ესეუ სომ ანათებს

თბილისის გარეუბნის სოფიოტი ქუჩა-ებს მზირად სიხალე არ აქვს. მწარე გამოცდობებიდან



მომდინებნი: — ამ მოვარე, მოვარე გულს ჩაგვიკონს ჩვენი... თბილისის „შუტი“ გავიგონე...



—ბოდიში, მეგობარი, მე ამ ვაჩერებზე ჩაივლი-ვარ და თუ შეიძლება...
—უკაცრავად, მაგრამ მე ამ ვაჩერებზე ვერ ჩა-მოვალ...

მანათათ სისწრაჟე



სასწრაჟო დასწრაჟობის მანათათ — 2 კმ. საათში



ბარათი — 4 კილომეტრი საათში

ანაკრო კატი

ნახატები ლონისა



პლატონის ვეწალი ვალ-მოსხმა ამ უღეს წარბივ არ შერებვით



გონს ვილადამ პორტუგალი ვაცა. ამ უკანასკნელს არც ეს მთუქვევა უურადლება.




მაგრამ, შემთხვევით სატრახ-სლოციო რადიოს მიიქცია ყურად-ღღება პლატონმა და... (დნარჩე-ნი სურათზე მიხედეთ).




გაგაგანი-გაგაგანს ვაიღება

მსუქანის მიცვალვებში: — მომეზმარეთ. სახალაოზღე გე-ლარ ვამიტანს და შუგაზაზე მიხატოვებს.
განსლდარი მიცვალვებში: — რომ მოვლდე და მოვლ ქვე-ყანას შენ ვამიღი, რა გეგონა. ამ სწორეზე შენი მითრევის თავი ვეს ექნებოდა.



თელეფონი — აგომავტი, რომელმაც „ნან-გი“ ზშირად აძლევს სიგნალს, მაგრამ ეს უკანასკნელი ზშირად არ იძლევა სიგნალს.

24 სათი თბილისში



ანანო-რომავტი — 27 კმ. 1/2 საათში.

არა ოცდაათს საათში, არამედ ამ დროს ერთ განსაზღვრულ მომენტში.

ნახ. ან. კანდელაკისა.



1. როცა წვიმს თქვენ შეგიძლიანთ უფახოდ მიიღოთ შხაპები ტროტუარზე.



2. წვიმის შემდეგ თქვენ ხაშუალება გაქვთ ისარგებლოთ ტალახის აბაჯრებით.



3. მზიან ამინდში კი...დასტები სულო და გულო, ისუნთქე სოფთა ჰაერით.

მიუხედავად თბილისის საბჭოს მიერ მიღებულ ღონისძიებებისა, თბილისში წმირად აქვს ადგილი სამოსახლო ადგილებით სანუკულებად.

(ნიაგის“ ბრიგადის მასპინძელი)

ჩემი გულის სიყვარულო, ჩემო კარგო, ჩემო თინო, მალე გნახო მინდა გვრიტო, შენი ეშხი. მომაფინო.

მე შენს ბართს შევიჩახავ, ვით დრო ძეგლებს პირამიდის, იწერები, შემოვთვალო ჩემი საქმე როგორ მიდის, რას ვაკეთებ, ან რა ვქენი, სად დავიწყე სამსახური, რას ვაპირებ, მომავალში...—ჰა, მოგიტხრობ, მიგდე ყური.

მე სამსახურს ორ წლის წინად, იცი, თავი დავანებე, რომ მეცხოვრა, როგორც ცხოვრობს ტექნიკოსი ჩვენი ჯგუფე. როგორც ცხოვრობს ჩვენი ვასო, როგორც ცხოვრობს ჩვენი ნიკო, ეს „სამება“ თბილსაბჭოში თბილ ადგილზე თბილად იყო, მაგრამ ხელის მოსათბობად თბილ ადგილზე უფრო კარგი გამონახა ჩვენმა ნიკომ შემოსავლის ერთი „დარგი“... მიატოვა სამსახური გაიჩინა რა მან წყარო შემოსავლის უხვად მზიდი, სანატრელი, სანუკვარო...

შენ, რომ იყო მეცნიერი სასახელო საქმეს ქმნიდე, თან არ გქონდეს ბინა, ჭერი, უსახლკაროდ ქუჩად ვლიდე,— ჩვენს თბილსაბჭოს მოკრძალებით, მოედანთან, იქვე, ახლო ჩაუარო და ითხოვო ვაკის მხარეს სამოსახლო,

თუნდ ისე შორს, რომ იქ მკვდრებსაც დასახლების ჰქონდეთ ნებ: თუნდ იმ მხარეს, რაც დღეს ვაკის სასაფლაოდ იწოდება,

ზოგჯერ უარს მოგახლიან ცივ ყინულზე უსუსხესსა, და თუ მოლზენ, დიღომს იქით გაგიშვებენ ცივად ხელსა...*)

ამ პასუხის გამართლება თავს ანდაზამ უნდა იღოს: „ღმერთმან ერთი რად აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმინდოს“

თუმც მოძველდა ეს ანდაზა, თინავ, ჩემო ჯიოკონდა, მაგრამ ვაკის ადგილებით ნიკოები ბლომად ცხონდა,

დაირიგეს სამოსახლო ზოგმა სამი, ზოგმა ხუთი, მამიდების სახელებზე გააფორმეს მათ საბუთი,

და იმკილით, რაც ნიკოთვან მამონასებრ იღიდება, გაქაფული ადგილები მამასისხლად იყიდება.

ერთ უართქმულს საბჭოსაგან, რომლის სახე სევდას თოვდა, გამქაფავი ერთ ნაჭერში ოცი ათას მანეთს თხოვდა.

მეც მათ კვალზე გავიარე, მოკვდეს ბიჭი ნიკიფორე, საიშვილო საქმეებში თუ ჩამორჩეს ტოლს და სწორებს.

მე მათ კიდევ გავუსწარი: სართულოვანს ვაგებ სახლებს, ზედა სართულს ჩვენთვის ვიწყობ, სხვა ვერავინ ხელს ვერ ახლებს.

სარდაფების მოუწყობელ კედლებს კი „ვთმობ“ როგორც ქველი, ამას წინათ სამოც ათას მანეთამდე გავკარ ხელი,

ჩვენს მუშტრებს რომ მიწა მისცენ, ჩემისთანამ რაღა ჰყიდოს? „ღმერთმან ერთი რად აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმინდოს“.

კვლავ ვღებულობ ახალ ნაკვეთს, კვლავ ახალ სახლს ავაშენებ, ძველ სახლებში გაქაფულით მოვკაზმავ და დავამშვენებ.

შენ ჩემს ამბავს ნუ იღარდებ, სხვაფერ ვიყოთ კარგად თორემ ვინ გაფცქვნას და რა გაქაფოს, იცის ბიჭვა ნიკიფორემ!

მედუზა.

*) იმ მხარესაც თვალის მაქცად „საბურთალო“ ეწოდება, იქ ზხავნიან ფიცხლავ ყველას, ვისიც არ აქვთ შეტოდება.

აგზავნი მწეკადთა სათბიღისო შუკაბისა

ლირიკული შესავალი



თბილისსა ჰქარგავს მრავალი სასახლე სამშენებელი,
მათ შორის სახლი სანატრი, მწერლობის ამშენებელი,
ვით ვაქო მისნი ღარბაზნი, მოფარჩულ მოფარდაგულნი,
ანცა მასშიგან მსუფევენი—სამგოსნო ცეცხლით დაგულნი?
მერომანე და მეღუქსე, მედრამე, მკრიტიკებელი,
აწ მეგობართა თავისთა მიწყვი გუგულებერ მქებელინი—
ერთკრებად ვნახე იმ სახლში, ჩანგთა თუ სტვირთა მეღერანნი,
დიად ეპოქის საქმეთა კვლავ გულმართალად მღერანნი—
დასადად ისხდენ სკამებზე—კისერთა კონტად მღერანნი,
დიდთა სამწერლო საქმეთა განიხილავდენ მწერალნი.

პირველმოდხენება ერიკლე აბაშიძისა

ზარი ამოდ აწკრილდა, ტრიბუნაზე გაჰკრთა შუქი,
და გამოჩნდა მოყმე იგი—ტანად სარო და ჩაუქი:
უნახესად ჩაახველა, კვლავ სსათუთად მოსვა წყალი,
ახსნა ბაგე და დამარცვლა სიტყვა ცხრაას ოცი ცალი:
— ამხანაგებო, თქვენს მდივანს სათქმელად ესა მწადია:
რაც აგვირჩიეთ, თქვენც იცით, არცია წელიწადია,
ამიტომ პრეზიდიუმმა საქმეს ვერ დასდვა ხვავია,
ჯერ მცირე წაიმუშავა, მერე ძილს წისცა თავია.

არიქა, დაგვემარენით, გთხოვთ, სიტყვით მონაკრძალითა,
ეგები გამოვადვიდით, იგი საერთო ძალითა.—

რაც შეეხება მიღწევებს, არ მცორობს მათი რიცხვია.
ბევრი შედეგით—დავბეჭდეთ, ბევრაც პორტფელში გვიწყვია,
მაგრამ ამ კრიტიკის საქმე, ჯერ ისე ვერ მოგვიწყვია,
რომ ყალბისმქნელებს ამხელდეს, ვით ტრებას ქოთანს—ციცხვია
არიქა, აქაც უდავოდ გვიჩრია თქვენი შევლანი,
გავაკრიტიკოთ კრიტიკა, აღიჭურვენით ყველანი.
ახლა შევევით მწერალთა შემოქმედების ღეტალებს:
ზოგს ლაპაუსი, აქვს ისეთი, ვერც კი ვუსწორებ მე თვალეს.
მართალი არის ბევრი ჰქმნის ეპოქის დიდსა ტილოსსა,
მაგრამ შიგ და შიგ ზოგზოგიც ჰანგებს უმრუდებს კილოსსა:
ზოგი ტრფიალში ჩავარდა,—(ესთქვათ, მაშაშვილი ალიო),
ზოგსაც—(ესთქვათ: სიმონ ჩიქოვანი)—სწევას ვრილი გოგოს ალიო.
ზოგი კარგ თემას ვერა სძლეცს, ფორმაში არახუსტია,
ზოგისაც გმირი ვერ გმირობს—სქემატური და სტუსტია.
ახლაგზარდებშიც ზოგზოგი ცელქობს და მცდარობს ჰანგითა.
ზოგი ტრებახობს, ზოგიც სწერს მელნის მაგიერ—ეანგითა.
არიქა, ვიყოთ მათ მიმართ მკაცრი და შეუპოვარი,
ვინც წუნს აპარებს პროდუქტში, ვით წვენში წყალსა—„პოვარი“.
რა მოსთვალნა სახელდებით ვის რა წონის ცოდვა მართებს,
დარბაზს მსხდომნი კალმოსანნი საპაექროდ მოიმართენ,

კამათი და მუშაკადთი

ი. გრ. შაშვილი

ახლაგზარდამ იქნ ჰ ზოგჯერ
ლექსი გააკრობს კოს,
მაგრამ მათში ბევრსა
ვით ბაჯალღოს ვადრი ოქროს
და სჯობს მათ ჩიქს ჩვენი ცოდნა
ზედ მარიალად ზოგაყაროთ
და მათ კუთარათ:—მაშაშვილუმ,
ცოდნა უნდა შეიყვაროთ.
(სიყვარულით აქვითინებული კითხულობს მათ
ლექსებს).

კონსტ. გამსახურდია

თავადური ზარმაცობა
თუქი ჩვენში კიდევ ჰყავის,
თუ ბულბულად სთვლიან კაცს და
ის კი—მღერის მსგავსად ყვავის,
შინ რა ჰქმნას კრიტიკამა—
ვით გაართვას საქმეს თავი?
მე თოვითხოვ, პრეზიდიუმს
რომ გავადროთ ერთად ტყავი.
(აძრობს თავის წილ ტყავს).

ა. ჭეიშვილი


მე ზინგურის აგენტივით
მოვიარე საქართველო,—
მორცხვი ვარ და მორცხვადა გთხოვთ
შენ, მწერალთა კრებავ მთელო:
დაგვემარეთ, დაგვემარეთ,
რომ გავქმონდეს კალმით ლელო...
თავმჯდომარე ლ. ქიაჩელი (უცბად გააბ
სუნდება).
უკაცრავად, მოდიოთ ბარემ
შემოვილოთ რეგლამენტი,
რომ კამათი არ გავრძელდს
ორიოდე კვირის მეტი.

სანდრო ეული

უნაკლო არვინ მეგულოვის, —
მეც ჩემს ნაკლს გამოვასწორებ,
ხოლო როს ნაკლი მწერლობის
ართმეტიკულად აესწონე,
გეგმიან ანგარიშისა
დავკარგე ქორონიკონი:
ათას მანეთად გვიჯდება
ზოგი პოეტის სტრიქონი,
ეს წესი საზიანთა,
სჯობს მოვსპოთ, ვფიცავ ძმობასა,
დაუყოვნებლივ შევუდგეთ
გეგმიან მუშაობასა.
(იქვე აწყობს გეგმას).

(რეგლამენტს ღებულობენ, რის საფუძველზე
ყოველ მოკამათეს რეგლამენტით გათვალისწინებულ
ვადას ცხრაჯერ უგრძელებენ. კამათი გრძელდება).

თარსი



ნიმუშები ძველი სირაჯუნის ორნამენტებისა

ივანე წულუკიძე

სად კრიტიკის მას ეშინის,
ვისაც თავის არ აქვს რწმენა,
და მე ვამბობ: ნუ დავზოგავთ
უნიჭობას დავსცხოთ ჩვენა.
ნურც ვიქნებით ამიერიოთ
რუტინაში დაკეტილი,
რომ კრიტიკა გაიფურქჩნოს
პრინციპული და კეთილი.

(დასცებს უნიჭობას და დოინჯით წავა სახლში).

სიმ. ჩიქოვანი (ისიც ადგილიდან)


ოქროს ზოდებად მიწყვი
ლექსები მარჯვედ ნათალი,—
გრილ გოგოს ხსენებისათვის
გემღურით—გითხრათ მართალი.
ამიტომ სიტყვას არ ვიტყვი
თუნდ მთხოვოთ მთელი კვარტალი.
(მრისხანე გამომეტყველებას ღებულობს)

კონსტ. ჭიჭინაძე

ჩვენ გვყავს ლიტაზნაურები,
ლიტუაზნონიც—ცხადია...
პირველი—მწერლობის ჩღვაზე
რეზინის ბუშტით დადიან,
მაგრამ კრიტიკის კურთხევიით
ფონზე ადვილად გადიან.
ამგვარ მეთოდის მოსპობა
ჰეც თქვენთან გულით მწადიან.



ჩვეულებრივ, ძველ ფიტულებს მზუზე გამოჰუენენ ხოლმე, რომ ჩჩიღმა არ შეტანოს. დღეს ასე იტყევა ნიანგიც: ეს ძველი საქონელი გამოამზეურა, რომ ნიავმა გაუაროს და მუზეუმში შესანახად მაინც გამოდგეს, თორემ განახლებული დედაქალაქის ახალგაზრდობას საშუალება არ ექნება გაიცნოს ისინი ვინც ძველ თბილისს იერს აძლევდა და მის სვებებს განაგებდა.



„ს ე ლ ი კ ო“

კაცო, გაიგე ახალი ამბავი? — ჰკითხა თავზარდაცემულმა პლატონ სამანიშვილმა თორნიკე ერისთავს.

— რა მოხდა, მამაშენს ბეკინას მეორე ვაჟი ხომ არ შექმნია?

— არა, ძმაო, არა. აკაკი წერეთლის და დავით კლდიაშვილის საფლავები ვინცაღას მოუპარავს.

— ვაი შენს თორნიკეს. დაეღუპულვართ და ეს არის. ტყუილად კი არ დაწერა აკაკიმ „საყვარლის საფლავს ვეძებდი, ვერ ვნახე დაკარგულიყო“. გრძნობდა ალბათ განსვენებული — მწარედ ამოიკენესა თორნიკემ და შემდეგ ისევ პლატონს მიუბრუნდა.

— ჰო მაგრამ იუბილეზე მწერლებმა მიტინგი რომ აკაკის საფლავზე გამართეს. რამდენადაც მახსოვს, აკაკის საფლავი ისევ იქ იყო.

— არა ძმაო არა, მას შემდეგ მომხდარა ეს ამბავი მას შემდეგ. ვაი ჩვენს მოსწრებას. — ჩოხის კალთით მოიწმინდა ცოფილები პლატონმა და ისევ განაგრძო — ჩემი ჭომაგი დავითიც რომ დაკარგულა ის მიკლავს გულს.

— საიდან გაიგე ეს თავზარდამცემი ამბავი ქაჯან, საიდან?

— ამ წუთში გაგიგე ჩემი თორნიკე — ბატონო. ამ წიგნში ამოვიკითხე ა! გაუწოდა პლატონმა თორნიკეს ახლად გამოცემული „თბილისის ცნობარი“

— აი დახედე.

— გადაუშალა 81 გვერდი პლატონმა და თითო თუჩენა.

— შენ რუსული არ იცი ჩემო თორნიკე და მე წაგიკითხავ:

„საქ. ს. ს. რ. მწერალთა პანთეონი მთაწმინდაზე საფლავები: ა. ს. გრიბოედოვისა, ნიკოლოზ გარათაშვილისა, დიმიტრი ყიფიანისა, ნიკოლოზ ძიხა, ვაჟა-ფშაველასი, ილია გრიგოლისძე ჰავჭავაძისა, ვასო აბაშიძისა და ზაქარია პეტრესძე ფალაშვილისა“.

მორჩა. აკაკი და დავითი? სად არიან. გელაპარაკები ხუთი შვიდ რომ ყოლოდა ტყუბტყუბათ ჩემს დედი. ნაცვალს ის მერჩია, ამის გაგებას.

იკლავითი ასოგონივანი

დიდებული დრო გაატარეს კიკიკომ და ტიტო. კომ ერთერთ სოფლის რესტორანში. იქიფეს, სეეს, შოფერსაც ასეეს და მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდნენ, როცა თბილისისაკენ გამობრუნებულნი ხედ შუაგზაზე. მანქანისადა გადაკორილდნენ მინდორზე.

წამოდგნენ. დაწესებულების მანქანას დახედეს და თავზარდაცემულნი უცბად გამოფხიზლდნენ.

მანქანა გარმონივით იყო დატყულებილი.

— დავილუბეთ, — ამოიკენესა კიკიკომ. — რა ვქნათ?

— სასწრაფოდ უნდა შევაკეთოთ — მოისახრა ტიტოკომ, სადა ავტოსარემონტო ქარხანა არ იცი? დაიცა ჩემი პორტფელი ხომ არ დაკარგულა. ახლავ ვნახავ. მოძებნა სადაც თხრილში, წუმპები ჩავარდნილი

(* ნიანგი იმ ახრისაა, რომ ყოველგვარ სიმპატიურ წამოწყებას დროზე უნდა მიესალმოს კაცი, რადგან მისალმება როგორც წესი, კაი გუნებაზე აყენებს ყოველ ადამიანს. ამიტომ, ნიანგი პირდაპირ გაკვირვებულია მით, რომ აქამდე არავინ მისალმებია ერთი სიმპატიური წამოწყების ავტორებს რ. თათუხოვს, ი. ტრუფანოვს და ბ. ესებუას, რომელთაც შეუდგენიათ წიგნი — „თბილისის ცნობარი“.

მართალია, ამ ცნობარში ბევრი რამის გაცნობა ძნელია, ბევრისაც — შეუძლებელი, მაგრამ საერთოდ უნდა ითქვას, რომ ავტორები კარგი გუნების ადამიანებად გამოიყურებიან და, სასარგებლოსთან ერთად, სამხიარულო მასალასაც გვაწვდიან.

ამიტომ ჩვენ მივესალმებით, ასე ვთქვათ, მთელის კატეგორიულობით „თბილისის ცნობარის“ შედგენის ცდას და სურვილს გამოვსთქვათ, რომ ეს ცდა განხორციელდეს ყოველთვის.

ნიანგი

პორტფელი, ამოიღო „თბილისის ცნობარი“ და სარეკლამო განცხადებებში ძებნა დაუწყო.

— ნახე? — მოუთმენლად შეეკითხა კიკიკო.

— დავიკა. ეს რა არის? „ორთქლმავალ ვაგონშემეგებელი ქარხანა“ — ამოიკითხა ტიტოკომ.

„გარემონტებო ორთქლმავლებს, ელმავლებს, ვაგონებს ხამგზავროს და საბარგოს“.

— ავტოსარემონტო ქარხნის განცხადება არ არის?

— არ არის.

ორივენი მწარედ ჩაფიქრდნენ და შოფერს მიატოვერდნენ, რომელიც დამტრეფულ მანქანაში უცნაურად გაჩაჩხული არხენად ხერხინავდა.

— მეტი გზა არ არის — მოისახრა ისევ ტიტოკომ — იქნება ვინმეს უგდია სახლში ძველი, დამტრეფული ორთქლმავალი, ან სამგზავრო ვაგონი, ან ელმავალი — ვინათხოვრობო შესაკეთებლად და იქნება იმასთან ერთად ჩვენი მანქანაც შეგვიკეთოს ორთქლმავალ-ვაგონ-შემეგებელმა ქარხანამ.

ჩვენი

— ყარამან მომილოცავს.

— რა შე კაცო?

— ჩემპიონობა.

— იმე, რაში ვმარჯობი არ იტყვი?

— რაში და სმაში ჩემო ყარამან. გაკეთდა შენი საქმე ახალი სახის სპორტული შეჯიბრება რომ დაიწყო არ გაგიგია? აშენდით პორდაპირ მსმელები — აშენდით.

— გამაგებო ბოშო ხეირიანათ, იქნება მართლა სასიკეთოს მუშაობები რამეს.

— ა ჩემო ყარამან შეხედე. ესაა „თბილისის ცნობარი“ 1940 წლის გამოცემა. შედგენილია რ. თათუხოვის და ბ. ტრუფანოვის მიერ. პასუხისმგებელი რედაქტორია ბ. ესებუა. აგერ შეხედე რა სწავია სარეკლამო განცხადებებში: „სპორტული საზოგადოება „პიშიგვიკი“ ამჟამად ფიზკულტურულ კადრებს საქ. ს. ს. რ. კვების მრეწველობის ხისტემით“.

— ეგ ახლა ვითამ მიღერის სისტემა რომ იყო, რაცხა იმის მაგვარია არა?

— ჰო! მიხვდი ხომ! გახურებულ თონეში ჩახტომა-ამოხტომა, ერთი მთელი ხაქ-ს შექმა, მწვადასხმულ შამფურებით ცეკვა, რამდენიმე ტიკის სულმოუთქმელად დაცლა.

— გიშველა ღმერთმა. აბა მართლა მომიპოვებია ჩემპიონის სახელი. ლუარსაბ თათქარიძე რომ ტრამპ-ხობდა ერთხელ და იმერლებს თავს გვჭრიდა, მოგეცა სიცოცხლე მე ის კისრით დაგაყუდე. არიქა მიმიშვი შენ გენაცვალე. მასწავლე ერთი სადაა ის სპორტული საზოგადოება.

თაის გივილი

— გიგო, შენ ხომ იცი რეკლამას რა დიდი მნიშვნელობა აქვს. რეკლამა ვაჭრობის მამოძრავებელია. მოსახლეობის ფართო ფენებისათვის რეკლამა აუცილებელი მითხოვნილებაა წარმოადგენს. ამიტომ შეადგინე სარე-

კლამო განცხადება, რომ ჩვენი დროინდელმა მწერლებმა მანქანა მანქანა მანქანა ტრესტის შექმნით ახლებს ათასფუთიან მძიმე ბორბლებს.

— კი მაგრამ მოსახლეობა რა შუაშია?

— შე კაცო, თუ კი „თბილისის ცნობარი“ № 2 ფესაცემლების ფაბრიკა აცხადებს რომ ისინი მაღალი ხარისხის ფესაცემლებს კერავენ და მთელ პროდუქციას „საქმომარაგებას“ აბარებენ, ჩვენ იმაზე ნაკლებები ვართ თუ რა? მართალია, „საქმომარაგება“ სამაგიეროდ არაფერს არ აცხადებს, მაგრამ მერე რა?

— კარგი, მაშ ჰიდროტურბინების ფრთებს რომ ვამხადებთ, იმასაც გამოვაცხადებ!

— ჰო, ელექტროგადაცემის ანთებიც არ დაგვიწყდეს. იცოდეს მოსახლეობამ, რას ვაპრავთ ამითი.

— თავის ტკივილები რომ გაწუხებთ და იმისი წამალი, რომ ვერ გიშოვიათ ისიც ხომ არ ჩაგწერო.

— არც მაგაა ურიგო. მიაწერე რომ პირამიდონი არა მშველსიტყო.

ორი ასევენი

უცნაური გემოვნების ადამიანები იყვნენ მეთოდ და ბასილი. დაჯდებოდნენ ბაღში, გადაშლიდნენ ვახეთს და კითხულობდნენ სამგლოვიარო განცხადებებს. ამოარჩევდნენ საინტერესო მიცვალებულებს და მიუხედავად იმისა, რომ უმეტეს შემთხვევაში უცნობები იყვნენ, მეთოდე და ბასილი ბუნტუალურად ესწრებოდნენ პანაშვილებს და დაკრძალვებს. შემდეგ კი დიდის სიამოვნებით უზიარებდნენ ერთმანეთს მიღებულ შთაბეჭდილებებს, თუ როგორი იყო პანაშვიდი ან დაკრძალვა.

ერთხელ მეთოდე და ბასილი სამგლოვიარო განცხადება წაიკითხეს. ნაცნობი გარდაცვლილად.

— წავიდეთ?

— მაშ კაცო.

და უცრად მოგონდათ, რომ გვირგვინის მირთმევა იყო საქირო.

კაი გვირგვინი უნდა იყოს ხომ იცი შენ.

— მეც მაგ ახრისა ვარ — ამიტომ იქ უნდა შევუკეთოთ.

— სად „იქ“?

— გუშინ წავიკითხე ერთი ახალი წიგნი გამოსულა მაგის შესახებ.

— რა წიგნი კაცო, რატომ მე არ ვიცი?

— არ იცი და წამოდი გიჩვენებ.

ისინი გახეთის კიოსკს მიადგნენ მეთოდე და გადმოალებინა „თბილისის ცნობარი“, გადაუფურცლა 398 გვერდზე და შესძახა:

— ამას შეხედე, ამას.

ბასილი სათვალეები გაიკეთა და ამოიკითხა სასაფლაოთა მეურნეობის სამმართველოს დიდათ საქმიანი განცხადება:

„... მოსახლეობის დასაფლავებოთი მომსახურება ვყოფით: კუბოებს, გვირგვინებს, ყვავილებს

ვამაჯდებო ხაფიაფის ქვებს,

ასრულეუბა სწრაფად და ფაქიზად

იმდენად დიდი იყო ამ ორი ესთეტის აღფრთოვანება, რომ ისინი სიხარულით გადაეხვივნ ერთმანეთს.

პირიტი



ერთად ერთი ძველი ჩვეულება, რაც კიდევ არ გადავარდნილა ახალ თბილისში.

მხ. ნიანგო! დარწმუნებული ვარ, რომ თქვენს მახვილ მხედველობას არ გამოჩნებოდა ერთი, ყველასთვის შესამჩნევი ამბავი: ჩვენი გაზეთების მეოთხე გვერდზე, ხან დიდათ, ხან პატარათ იუწყებიან ხოლმე:

„ნუ გადაურით ცალიერ ბოთლებს, ტყუილად რაზე ჰკარგავთ ოფლით ნაშოგნ ქონებას? მოიტანეთ მაღაზიაში და პირდაპირ ხელიდან გამოგტაცებენ ჩვენი თანამშრომლები; წართმევის მიზნით კიარაო, — თან აყოლებენ, — ფულებს მოგართმევთ.“

მეც წავიკითხე ასეთი განცხადება, ფულის შოვნის კიამ პირდაპირ ფეხის თითებიდან დამიწყო წიწვნა. წამოვიკიდე ზურგზე ოცდახუთამდე ბოთლი და მივადექი ერთ-ერთ მაღაზიას. თან შორიახლოს გავჩერდი გამყიდველისგან, შემეშინდა: ბოთლების გამოტაცების მიზნით არ დამეტაკოს და არ დამაზიანოს შეთქი.

თქვენც არ მომიკვდეთ!

— ცალიერი ბოთლი? ეგ გეკადრება პურმარილიან კაცს? ღვინო თუ არ გქონდა, ლუდი მაინც ჩაგესხა! — სთქვა გამყიდველმა და დამთავრა: — ცალიერს რა თავში ვიხლი!

ხომ ვერ გვეტყვი, ამხ. ნიანგო: ის, ან სხვა გამყიდველები არიან მთვრალეები, თუ ზედმეტად ფხიზლები ბრძანდებიან ის ამხანაგები, რომლებიც ზემოდხსენებულ განცხადებების დაბეჭდვაში სახელმწიფო მანეთებს იხდიან?

80 გოთლის პატრონი

პირდაპირ წარმოუდგენელია ისეთი კაცი, რომელსაც სიხარული ცეკვამდე არ მიიყვანს, როცა ეს უკანასკნელი 26 კომისრის რაიონში, შაუმიანის მოედანზე, ან ამ მოედანთან ახლოს მდებარე ქუჩებზე გაივლის.

მოსაფალტებული, გამწვანებული, გამშვენიერებული ყველაფერი. მაგრამ ერთ ახირებულ რასმე იტყვიან ხოლმე ამ რაიონის მცხოვრებლები:

„ამ ადგილმდებარეობას არ სცილდებიანო რაისაბჭოს მუშაკები“

და მაგალითისთვის ასახელებენ შემდეგ გარემოებას:

ამავე რაიონში, ურიცკის ქუჩის დასასრულთან, რკინიგზის წინ მდებარეობს ერთი ხიდი, რომელსაც მივიწყებულის ხიდი დაარქვეს ამ ქუჩელებმა, ამ ხიდექვეშ უშველებელი ხევია, რომელშიც თავისუფლად შეიძლება გადავარდეს კაცი, თუ რასაკვირველია ჰკუთხელს არ შეუშლის. მაგრამ ჰკუთხელოდ მაშინ წყვეტს საკითხს, როდესაც სინათლეა და ჰხედავ რამეს. ღამით კი ვინაიდან ამ ხიდს მოაჯირები უკვე საკმაო ხანია აღარ გააჩნია, თავისუფლად შეგიძლიან ფეხი დაგიცდეს. ხევში მოადინო ბრაზხანი და რომელიმე კლდეს უთავაზო შენი განწირული თავი.

ამასწინათ, აქეთ სატვირთო მანქანამ გამოიარა. შოფერმა ვერ შეამჩნია თუ იქ ხიდი იყო, მოკლედ მოსჭრა გზა და საწყალმა ხუტუნით ანება მთელი თავისი მოყვანილობით თქვენი ტირი წაიღო.

როგორც სჩანს, შართალს უნდა ამბობდნენ აქ მცხოვრებლები რაისაბჭოს მუშაკების შესახებ. შენც შეეკითხე ერთი, ამხ. ნიანგო, ვნახოთ რას გიპასუხებენ... რაისაბჭოდან.

ღღემდე გადაჩენილი

დაეჭვებაც კი არ შეიძლება ამის გამო, რომ სავაჭრო ორგანიზაციებისათვის ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს აგრედწოდებულ საჩივართა და წინადადებათა წიგნს. ვთქვათ, შედიხართ რომელიმე სასაღილოში, მოითხოვთ მწვადს, მიირთმევთ, გამოიძახებთ მომტანს, მოატანინებთ საჩივრის წიგნს და შიგ შეგაქვთ წინადადება:

„მეტი დაკვირვება ამხ. კულინარო, მწვადში ცოტაოდენ ხორცის შერევა გემოს უმატებს ამ შესანიშნავ საჭმელს“

ან ქეიფობთ მეგობრებთან ერთად. თამადას რატომღაც სურვილომა მოუარა, რომ მიმტანის ბეზის შესანდობარი დალიოს. გამოიძახებს მიმტანს, მაგრამ ეს უკანასკნელი სადღევრდელს არ ლებულობს, „სუფრას წიხლს ჰკრავს“ და საჩივრის წიგნში გაჩნდება საყვედურის კილოთი გულიდან აღმოძნდარი:

„აფიცვიანტი ფინთათ გვემსახურებოდა“ მეორე დღეს კი თავს იჩენს სასაღილოს გამგის პასუხი საჩივარზე:

„მიმტანს ბებია ცოცხალი ჰყავს და შეურაცხყოფა ვერ აიტანა“.

ასეთი უსაქმო საჩივრები მაგალითად იმეტომ მოვიყვანეთ, რომ არა ერთი მოცლილი მოქალაქე ეწვევა ასეთ ჩხირკედელობას. მაგრამ უფრო ხშირად საქმიან საჩივრებს წერენ მომხმარებლები საჩივრის წიგნაკში და თვეობით ამაოდ ელიან ორგანიზაციის ხელმძღვანელის პასუხს.

შეიძლება არ დაიჯეროთ, ამხ. ნიანგო, რომ ეს ასეა. მაშ აბა სხვებს გარდა რესტორან „სიცოცხლის“ დირექტორს — ჯონხაძესაც დააკვირდით, ამ წერილის წაკითხვაზე თუ არ გაწითლდეს.

კველი მოგვიხანი

ნახ. დონისა

ქალაქში იმის ხანძარი

ბაზინ

ახლა



— დააყე შვილოჯან, ერთი ჩარეკა მაქარა ჩამომისხი მაგ ტიკიდანა.

— ნუ მაგვიანებ დიდედოჯან, ჩითახოვის ქარვასლა იწვის და იმის ჩასაქრობად მივქრივარ.

მიჰქრის, გრგვინავს, მის სისწრაფეს, ბოლო აღარ უჩანს, — ხანძარს აქრობს, მაგრამ შიშის ხანძარს უჩენს ქუჩას...



ჭუნქუალობა უყვარს ამ მეგზოვე ძიას:
წვიმს, თოვს თუ ცხელა მაინც ასრულებს ინსტრუქციას.

ჩ ვ ე ნ ი უ რ ს ვ ა

უცნაურს (თბილისი) მართლა უცნაური ამბავია. ტრამვაის ერთერთ კონდუქტორს მგზავრისათვის ხურდა ფულის მიცემისას 3 კაპიკი გადაუყოლებია. თქვენ ამის მოწმე ყოფილხართ და კონდუქტორის „გაფრთხილების“ შესახებ სწერთ:

ტრამვაიში ჩავჯექ დილით
და ლაპარაკს მოვკარ უური,—
უბედურ დღეს გავჩენილვარ,
რით ვუყიდო ცოლშვილს პური

თუ ყოველდღე დაურიგე
მგზავრებს თვითოს ჩემი ფული
გამოდის, რომ მე ვყოფილვარ
სულ მთლად ჭკუადაკარგული...

გვეკითხებით: როგორ უნდა მოიქცეს ასეთ შემთხვევაში კონდუქტორი, რომელიც სხვადასხვა მიზეზების გამო თავის მუშაობის დროს მატერიალურად ზარალდება.

გიპასუხებთ: კონდუქტორმა თქვენზე უკეთესად იცის თავისი საქმე, რასაც ნათლად ამტკიცებს თქვენი ლექსის შემდეგი ტაბები:

არ გასულა ხუთი წუთი
იმ კონდუქტორს თხოვეს ხურდა,
ერთმა უთხრა: გადავდივარ
რაც მერგება მომცე უნდა.

—მოქალაქევე, ხელს ნუ მიშლით,
კონდუქტორმა შეუყვირა.
და ის ხურდა თვის ჩანთაში
ჩაუძახა ყირა-ყირა.

ხომ გაიგეთ, მოქ. უცნაურო,—რა ხელგაშლილი კაცი ყოფილა ის თქვენი კონდუქტორი?

ჟორანს. (თბილისი). ვბეჭდავთ ადგილს თქვენი ლექსიდან, რომელიც ეხება თბილისის სადგურის საპარიკმახეროს:

შევედი და გავიხადე
წესისამებრ ჩემი პალტო,
მაგრამ ვხედავ, გასაზღვლთან
არავინ სჩანს, ვიდექ მარტო.

უცხო ხალხი ვინ არ გინდა
აქ არ გადის და გამოდის
ვიკითხე: აქ არავინ დგას,—
ანდა მოვა ნეტა როდის?

მითხრეს: პალტოს ნუ გაიხადი
თორემ ვინმე წაგართმევსო.
შედი მასე,—სულერთია
არვინ იცავს აქ ამ წესსო.

როგორც მითხრეს, მოვიქეცი,
შევედი და დავჯექ სკამზე
ჩემოდანი მუხლზე მედო
გადვიკიდე პალტო კლავზე.

სამართებლით გაჩნდა კაცი,
რალაც ჩვარი მომხვია
გავიფიქრე,—რაც მომივა
მეკადრება და ახია.

მან გამპარსა როგორც, იყო
(ყველას პარსვენ ერთი ფუნჯით)
არვინ პროტესტს არ აცხადებს
თითქოს ვიყოთ ყველა მუნჯი.

იოლად გადარჩენილხართ, თორემ, იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც ჩვენს განკარგულებაშია,—სსენებულ საპარიკმახეროში ზოგი ყბას სტოვებს, ზოგი ცხვირს და ზოგი ცალ ყურსაც.



ელამ მიკიტანს გაუცვდა ლილა
სადლა აქვს ქუჩებს ძველი იერი,
ძველი თბილისი მთლად გამოცვლილა
შენდება, ლალი და ბედნიერი

ქ. საგო ნახე
ქვამ შიქტანს-
ქვამ გუქნან
თავს გუქნით.
მიბნული ყოჩიო.
ბელო აბიოსო.
ბთოვე-უ-ბ.
ი. გრუშველი